„ყური დაუგდეთ, ასპინძის ადგილის დედა ჩურჩულობს...”

ლევან ასათიანი

ასპინძის სიახლენი

ასპინძის მუნიციპალიტეტი * აგვისტო. 2024 * (6)99

მუნიციპალიტეტის საკრებულოში

12 ივლისს გაიმართა მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა.

საკრებულოს სხდომის ფარგლებში დეპუტატებმა განიხილეს შემდეგი საკითხები:

1. „ასპინძის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ” ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 19 დეკემბრის №38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

მომხს: ბ. ბერიძე; ა. ტივაძე;

2. ასპინძის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების მიწის ნაკვეთზე იჯარის ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის შესახებ, ასპინძის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე;

მომხს: ბ. ბერიძე; ა. ტივაძე; გ. ჯვარიძე.

3. ასპინძის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დაბა ასპინძაში, ვარძიის ქუჩის მიმდებარედ, 81.00კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობის N1-ის (ს.კ. 60.01.31.726) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით 5 (ხუთი) წლის ვადით გადაცემის შესახებ, ასპინძის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე;

მომხს: ბ. ბერიძე; გ.ჯვარიძე; ა. ტივაძე; გ. დიასამიძე.

4. ასპინძის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, დაბა ასპინძაში მდებარე 12.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის, საკადასტრო კოდი: N60.01.33.533, პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, 5 (ხუთი) წლის ვადით გადაცემის შესახებ, ასპინძის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე;

მომხს: ბ. ბერიძე; გ.ჯვარიძე; ა. ტივაძე; გ. დიასამიძე.

5. ასპინძის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, დაბა ასპინძაში, ერეკლე II ქუჩა N4-ში მდებარე შენობის (საკადასტრო კოდი: N60.01.31.015) პირველ და მეორე სართულზე არსებული ფართის, პირდაპირი განკარგვის წესით, უზუფრუქტის ფორმით, 2026 წლის 1 იანვრამდე სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ, ასპინძის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე;

მომხს: ბ. ბერიძე; ა. ტივაძე; გ. ჯვარიძე;

დეპუტატებმა საკითხები დაამტკიცეს, რის შემდეგაც გაეცნენ ინფორმაციას;

- ასპინძის მუნიციპალიტეტის მერის მიერ 2024 წელში N81-დან N94-ის ჩათვლით, გაფორმებული ხელშეკრულებები სახელმწიფო შესყიდვების შესახებ.

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ბერიძე.

სხდომას ესწრებოდა „მრავალეროვანი საქართველოს“ წარმომადგენელი.

მაკა ბერიძე

სასწავლო წლის შედეგები

2023-2024 სასწავლო წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტის 18-ივე საჯარო სკოლაში სასწავლო პროცესი შეუფერხებლად მიმდინარეობდა . მათგან დაბა ასპინძის, ოთის, ორგორის, ნაქალაქევის, ოშორის საჯარო სკოლებმა გასულ ნელს მიიღეს ავტორიზაცია, მიმდინარე წლის ივნის-ივლისში კიდევ 4 სკოლაში-სოფელ ხიზაბავრის, რუსთავის, იდუმალისა და ჭობარეთის საჯარო სკოლებში უკვე დასრულდა საავტორიზაციო პროცესის პირველი ეტაპი, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფების ვიზიტები, რომელშიც რესურსცენტრის თანამშრომელიც იყო ჩართული ჯგუფის საქმიანობის ეფექტურად წარმართვისა და საჭიროების შემთხვევაში სხვადასხვა სახის დახმარების უზრუნველსაყოფად.

აღსანიშნავია ,რომ 4 საჯარო სკოლაში ჩატარებული არჩევნების შედეგად ახალი დირექტორი დაინიშნა.

სკოლებში განხორციელდა არაერთი წარმატებული პროექტი, სხვადასხვა კონკურსი და აქტივობა, რომელიც მიზნად ისახავს მოსწავლეთა კრეატიულობის, მოტივაციის ამაღლებას, მათი აქტივობების ხელშეწყობას და სასკოლო ინიციატივების წახალისებას, სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას.

სასწავლო წელი წარმატებული იყო ჩვენი მოსწავლეებისათვისაც. ამაზე მეტყველებს სტატისტიკაც-გვყავს სავარაუდოდ 12 მედალოსნობის კანდიდატი (3 ვერცხლი,9 ოქრო), და 11 წარჩინებული მოსწავლე, რომლებმაც 2023-2024 სასწავლო წელს დაასრულეს საბაზო საფეხური და რომელთა საფეხურის ნიშანია 10 ქულა.

გრძელდება სკოლების ინფრასტრუქტურული განვითარება. სექტემბრისათვის სრულად რეაბილიტირებული იქნება დამალისა და ტოლოშის საჯარო სკოლები, ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე სკოლების ნაწილში საკუთარი თანხებით განხორციელდება სხვადასხვა სახის კოსმეტიკური რემონტი , განახლდება ინვენტარი, შეივსება სახელმძღვანელოების ფონდი, პირველკლასელებს გადაეცემათ კომპიუტერები .

2024 წლის მასწავლებლის ეროვნული პრემიის ფარგლებში გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად სკოლების მიერ წარდგენილია 3 პედაგოგი. კონკურსის მიმდინარეობის პროცესში სასკოლო საზოგადოების ჩართულობის, მასწავლებელთა მხარდაჭერისა და მათი პროფესიის დაფასების მიზნით განხორციელებულ აქტივობათა ნუსხას შეემატა 2024 წლის 24 ივნისს ასპინძის საგანმანათლებლო რესურსცენტრის მიერ ორგანიზებული ასპინძის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მასწავლებელთა რაიონული კონფერენცია თემაზე:„ერთი საუკეთესო გამოცდილება".

დაბა ასპინძის საჯარო სკოლის სააქტო დარბაზში გამართულ კონფერენციაზე საჯარო სკოლების მასწავლებელთა და სასკოლო საზოგადოების სხვა წარმომადგენელთა წინაშე სკოლების მიერ შერჩეული 21 საუკეთესო პრეზენტაცია იყო წარმოდგენილი. ეს იყო, ამავე დროს, 2023-2024 სასწავლო წლის ერთგვარი შეჯამება, გამოცდილების გაზიარება,სკოლებისა და მასწავლებლების სამომავლო ურთიერთთანამშრომლობის ორიენტირების დასახვა.

ტრისტან მურადაშვილი-
ასპინძის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი.

რეაბილიტირებული კლუბი ხიზაბავრაში

ერთ დროს ხიზაბავრის მოსახლეობა მუნიციპალიტეტში ერთ-ერთი ყველაზე დიდი სოფელი იყო და ძირითადად სოფლის მეურნეობაში იყვნენ დასაქმებულები. მიუხედავად იმისა, რომ სოფელი სახელმწიფოს მხრიდან ყველა სასოფლო ატრიბუტით იყო აღჭურვილი _ კლუბი, ბიბლიოთეკა, ბაგა-ბაღი, ამბულატორია, სასოფლო საბჭო, არცერთ მათგანში მუშაობის ნორმალური პირობები არ იყო დაცული, გააქტიურდა მოსახლეობის მიგრაცია. თანდათან, დროთა განმავლობაში კი კატასტროფულად შემცირდა. მათი დიდი ნაწილი აღნიშნულისა და დროთა ავბედითობის გამო, გადასახლდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში, სოფლებსა და ქალაქებში, ქართლსა და კახეთში შექმნეს რამდენიმე ახალი სოფელი და მესხური გენი იქ განავითარეს. ალბათ, თავის დროზე სახელმწიფოს მხრიდა სათანადო ხელშეწყობა რომ ყოფილიყო, სოფელი ასე უმოწყალოდ არ დაცარიელდებოდა და თავის სიტყვას ყოველთვის იტყოდა მუნიციპალიტეტის განვითარების საქმეში.



დრო ყველაფრის მკურნალიაო და, ბოლოს, როგორც იქნა საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების ბოლო ხანს სოფლისთვის ძალზე ბევრი სასიკეთო საქმე გაკეთდა: ცენტრალური მაგისტრალური საავტომობილო გზიდან სოფლამდე მოასფალტდა გზა, გზა, რომელზედაც უსაფრთხოდ გავლა შეუძლებელი იყო, მუნიციპალიტეტში პირველად ეს სოფელი იქნა გაზიფიცირებული, შესაძლებლობის ფარგლებში მოგვარდა სარწყავი და სასმელი წყლის პრობლება, მოასფალტდა სოფლის შიდა გზების ერთი ნაწილი, კეთილმოეწყო სოფლის ცენტრი, რაც სოფლის მოსახლეობისთვის ამ 20-30-იოდე წლის წინ წარმოუდგენელი იყო. ევროპული სტანდარტების დონეზე რეაბილიტირებული იქნა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება, მთლიანად მოწესრიგდა ეკლესიის შემოგარენი... თანდათან სოფელი სულ უფრო და უფრო ლამაზდება და იერასხეს იცვლის.

ახლახან ხიზაბავრელებმა ადგილობრივი თვითმმართველობის მხრიდან კიდევ ერთი საჩუქარი მიიღეს, სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა სასოფლო კლუბს, რომელიც უნდა ითქვას, რომ სოფლის სავიზიტო ობიექტი გახდა. კლუბს მთლიანად შეუცვალეს სახურავი, ფასადი, ინტერიერი, დაიგო ახალი იატაკი, დამონტაჟდა თანამედროვე სტანდარტების დონის სკამები.

ამ დღეებში ახლადრეაბილიტირებული სასოფლო კლუბი სამშენებლო კომპანია შპს „ალმეს“ ხელმძღვანელობასთან ერთად დაათვალიერეს მუნიციპალიტეტის მერმა როსტომ მაგრაქველიძემ და მერის პირველმა მოადგილემ დავით პაპაშვილმა.

აღნიშნულ ობიექტზე სულ შესრულებული იქნა 272 655 ლარის სამუშაოები.

ყურადღებას არ აკლებენ

ჩვენი გაზეთის მკითხველებს ხშირად ვაუწყებთ, რომ სოფელ დამალაში ინტენსიურად მიმდინარეობს სხვადასხვა პროგრამებით სოფლის განვითარებისა და ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება. ბევრ ქუჩასა და უბანზე შესაშური ტემპით განხორციელდა შესაბამისი სამუშაოები. ახლახან კი სოფლის საკეთილდღეოდ აქტიურად დაიწყო და სწრაფი ტემპით მიმდინარეობს შიდა საუბნო გზების რეაბილიტაცია.

მიმდინარე სამუშაოები ამ დღეებში ასპინძის მუნიციპალიტეტის მერმა როსტომ მაგრაქველიძემ, მერის პირველ მოადგილესთან დავით პაპაშვილთან ერთად ადგილზე დაათვალიერა.

პროექტის მიხედვით სოფელ დამალაში მიმდინარეობს ასევე სხვა სამშენებლო სამუშაოები..

ინფრასტრუქტურულ სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს „ბესტ ტრანსი"აწარმოებს, რომლის სახელშეკრულებო ღირებულება 490 927 ლარს შეადგენს.

იდუმალაში შიდა გზები კეთდება

ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ იდუმალაში შიდა საუბნო გზების რეაბილიტაცია აქტიურ ფაზაშია.

მიმდინარე სამშენებლო სამუშაოები მუნიციპალიტეტის მერმა როსტომ მაგრაქველიძემ დაათვალიერა.

პროექტით დაგეგმილია ასფალტბეტონის საფარის მოწყობა, რომლის სახელშეკრულებო ღირებულება 653 800 ლარს შეადგენს.

სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს „საგზაო სამშენებლო სამმართველო N2" აწარმოებს.

ახალი ჯიბეები

მოსახლეობისათვის ნორმალური საყოფაცხოვრებო პირობების შექმისათვის მუნიციპალიტეტის მერია ბოლო ათი წელია ბევრ უმნიშვნელოვანეს ღონისძიებას ატარებს, მაგრამ, პარალელურად, თითქოს უმნიშვნელო, მაგრამ მოსახლეობის მცირე ნაწილისთვის საჭირო საკითხების მოგავრებასაც არ აკლებს ყურადღებას, რითაც ხელს უწყობენ მათი ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას. აი მაგალითად, გურამიშვილის ქუჩიდან ზედა უბანთან დამაკავშირებელი გზა თუმცა არსებობს და მისი რეაბილიტაცია სრულად განხორციელდა, მერიის გადაწყვეტილებით ამ ქუჩების დამაკავშირებელ, ე.წ. ფერდობზე, რომელსაც ყოველდღიურად ფეხით მოსიარულეები იყენებენ შეუძლებელი იყო უამინდობის პერიოდში ამ გზა-ბილიკით სარგებლობა, ახლახან კი ამ ადგილზე დამთავრდა რკინა-ბეტონის კიბეების მონტაჟი, რაც იმის შესანიშნავია მაგალითია, რომ მერია, ერთი შეხედვით თითქოს უმნიშვნელო, მაგრამ მოსახლეობისათვის საჭირო საკითხების მოგვარებასაც დიდ ყურადღებას აქცევს.

მერიის მხარდაჭერით

ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ოშორაში შიდა გზის რეაბილიტაცია მიმდინარეობს.

პროექტის ფარგლებში მოეწყობა ასფალტბეტონის საფარი, საყრდენი კედელი, სამი მილხიდი და სხვა საგზაო ინფრასტრუქტურა.

ამ ეტაპზე, ეწყობა მილხიდები და საყრდენი კედელი.

მიმდინარე სამუშაოები მუნიციპალიტეტის მერმა, როსტომ მაგრაქველიძემ კომპანიის წარმომადგენელთან ერთად ადგილზე დაათვალიერა.

სამუშაოებს შპს „არალი" ასრულებს და პროექტის სახელშეკრულებო ღირებულება 983 000 ლარია.

ახალი სპორტული ობიექტი

ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშეწყობისა და პოპულარიზაციის მიზნით, სპორტული მოედნების მოწყობა-რეაბილიტაცია ასპინძის მუნიციპალიტეტის მასშტაბით გრძელდება. ამჯერად, ხელოვნურსაფარიანი სპორტული მოედანი დაბა ასპინძაში, სანაპიროს ქუჩაზე აშენდა და აქ მცხოვრებ ახალგაზრდებს უკვე აქვთ შესაძლებლობა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სპორტული ინფრასტრუქტურით ისარგებლონ. დასრულებული პროექტი სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო რწმუნებულმა ბესიკ ამირანაშვილმა და ასპინძის მუნიციპალიტეტის მერმა როსტომ მაგრაქველიძემ მოინახულეს და პატარა ფეხბურთელებს საჩუქრად ბურთები გადასცეს. მოედნის გახსნას ასევე ესწრებოდნენ სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე შოთა როსტიაშვილი, ასპინძის საკრებულოს თავმჯდომარე ბესო ბერიძე, „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს" სამცხე-ჯავახეთის რეგიონული კოორდინატორი სერგი მუშკუდიანი და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები. სამუშაოები რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დაფინანსდა.

ჯუჰოჰტი სეზონს მომზადებული დახვდა

ალბათ იშვიათია საქართველოში ადამიანი, რომლისთვისაც ასპინძა თავისი ისტორიული წარსულით არ იყოს ცნობილი. იგი მატიანეში 888 წლიდან იხსენიება და სხვა არაერთი ისტორიული ფაქტი უკავშირდება მის სახელს. საილუსტრაციოდ ისიც კმარა, რომ ასპინძას უკავშირდება კოხტასთავის შეთქმულება, საყოველთაოდ ცნობილი ასპინძის ომის გმირული ეპოპეა. ასპინძა ამჟამად ერთ-ერთი დიდი წარსულის მქონე მუნიციპალიტეტია საქართველოს მასშტაბით, რომელსაც სახელი გაუთქვა იმ ფაქტმაც რომ იგი დიდი რუსთველის სამშობლოა, თავისი უნიკალური ისტორიული ძეგლების გამოისობით კი ტურიზმის განვითარებისათვის ერთ-ერთი საუკეთესო ადგილია, რომელიც უკანასკნელ ხანს სულ უფრო იზიდავს როგორც ქართველ, ასევე უცხოელ დამთვალიერებელსაც. ამასთან სხვა მხრივაც ასპინძა ბევრისთვის მიმზიდველი ადგილია. მისი ბუნება, გეოგრაფიული მდებარეობა, უძველესი ყორღანული სამარხები თუ ნამოსახლარები, იმის გარანტიას იძლევა, რომ უახლოეს მომავალში კიდევ უფრო გაიზრდება მისდამი როგორც ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის, ასევე უცხოელთა ინტერესი.

უფრო მეტიც, ასპინძა იმითაცაა საინტერესო, რომ მას აქვს შესანიშნავი ბალნეოლოგიური კურორტი, რომლის ეფექტური გამოყენებით შესაძლებელია იგი ერთ-ერთ საუკეთესო საკურორტო დაბადაც იქცეს, ამაში კი აუცილებელია სახელმწიფოს მხრიდან აქტიური მხარდაჭერა.

ალბათ, ბევრმა არ იცის, რომ დღევანდელი კურორტის ტერიტორიაზე გასული საუკუნის დასაწყისში, კერძოდ, ე.წ. ხიდის ძირში, მხოლოდ კუსტარულად მოწყობილი აბანოები არსებობდა და რევმატიული თუ სხვადასხვა დაავადებებით მქონე მოქალქეები ყოველგვარი ელემენტარული პირობების გარეშე მის აბაზანებს ღებულობდნენ და იკაჟებდნენ თავიანთ ჯანმრთელობას.

იმხანად ასპინძაში მცხოვრები ვასო სადათიერაშვილის 1920 წლის 20 აპრილით დათარიღებულ დღიურში ვკითხულობთ: „ჩვენ ერთადერთი ქართული ოჯახი ვიყავით მთელს ასპინძაში, სხვები ყველანი მაჰმადიანები იყვნენ, თქმა არ უნდა, რომ ჩემი ამხანაგებიც თათრები იყვნენ და რა გასაკვირია თუ მეც თათრული ვიცოდი ქართულზე უკეთესად“... ეს ერთადერთი ქართული ოჯახი კი მაშინ სამ აბანოს ფლობდა. „ერთი მოზრდილი იყო, ოთხკუთხი, ამოშენებულივით და ღრმა, მეორე კი უფრო ბუნებრივი და თხელი.“ გარკვეული დროის შემდეგ იგი ადგილობრივ მაჰმადიანთა საკუთრება გახდა. მიუხედავად იმისა, რომ ამ ე.წ. აბანოებს აქტიურად იყენებდა მოსახლეობა, მისი დაჭაობებული შემოგარენი, ანტისანიტარიისა და მალარიის



კერად იქცა და მოსახლეობა დიდი საშიშროების წინაშეც აღმოჩნდა. ეს კი მრავალ ფოლკლორულ მასალაშიც აისახა. ერთ-ერთში კი ვკითხულობთ:

„მე ბარალელი ქალი ვარ,
ასპინძას მოველ რძალიო,
ვინც აქ ვაჟი ამიჩემა,
გამოეხუროს კარიო.
ციებ-ცხელებამ დამადნო,
არ შემარჩინა ჯანიო...“

გასული საუკუნის 40-იანი წლების მიწურულს კი ასპინძელი ექიმის პეტრე ჯანაშვილის ინიციატივითა და დაუღალავი შრომის შედეგად დაიწყო და სამოციანი წლების დასაწყისისთვის ჭაობებისაგან სრულიად იქნა დაშრობილი დღევანდელი კურორტის მთელი ტერიტორია და, შესაბამისად, კეთილმოეწყო როგორც საბაზანო ნაწილი, ასევე სხვადასხვა სამშენებლო ობიექტები და 60 წელზე მეტია, რაც ხალხის სამსახურშია „კურორტი ასპინძა“.

მკითხველს შევახსენებთ, რომ ბალნეოლოგიურ კურორტ „ასპინძის“ ძირითადი სამკურნალო ფაქტორია მინერალური წყალი, რომელიც წარმოადგენს თერმულ, სუსტად მინერალიზებულ ჰიდროსულფიდ-ქლორნატრიუმ-კალციუმის მარილების შემცველ წყალს და მისი სადღეღამისო დებეტი შეადგენს 200 კუბ. მეტრს. იგი გამოირჩევა შესანიშნავი სამკურნალო ჩვენებებით: გამოიყენება ინფექციური, რევმატიული, ტრამვული, ენდოკრინული წარმოშობის, ჰიპერტონული, თრომბოფლებიტების (პირველი სტადია), დაავადებების და სხვა მრავალი დაავადებების სამკურნალოდ.

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული კურორტი 30-40 წლის წინანდელ დროსთან შედარებით ხალვათად ღებულობს დამსვენებლებს, სამუშაოები, კერძოდ, განახლდა სამაცივრო დანადგარები და სხვა საჭირო ინვენტარ-მოწყობილობები, სააბაზანოს ჩაუტარდა მიმდინარე შეკეთება და სხვ.

კურორტი ყოველწლიურად ღებულობს განსაკუთრებით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მაღალმთიანი, ახალქალქის მუნიციპალიტეტების, აზერბაიჯანის, სომხეთის, თურქეთის, რუსეთის რესპუბლიკებიდან ავადმყოფდამსვენებლებს.

იმისათვის, რომ კიდევ უფრო მიმზიდველი გახდეს კურორტი „ასპინძა“, მას ჭირდება განსაკუთრებული რეკლამირება, აუცილებელია დამსვენებლებისათვის სათანადო ხელშეწყობა, რაც იმაში გამოიხატება, რომ: დამსვენებელთა სიმცირის გამო შეუძლებელია კვების ობიექტის გახსნა, დამსვენებლებს პროდუქტების შეძენა კი უხდებათ დაბის სხვადასხვა სავაჭრო ობიექტები-

დან და უტრანსპორტობის გამო ხშირად ტაქსით უხდებათ სარგებლობა, რაც მათ ეკონომიურ პრობლემებს უქმნით.

ჩვენთან საუბარში ქედელმა და ახალქალაქელმა დამსვენებლებმა ისიც გვითხრეს, რომ კურორტის ადმინისტრაცია, დირექტორიდან დაწყებული დამლაგებლამდე, ყურადღებასა და მზრუნველობას არ აკლებენ მათ და შესაძლებლობის მაქსიმუმს იყენებენ მათთვის დასვენების ნორმალური პირობების შექმნისათვის. ამასთან ისიც დასძინეს, რომ ზოგიერთი დამსვენებელი წლებია სარგებლობს „კურორტ ასპინძით“ და დიდ კმაყოფილებას გამოთქვამენ მკურნალობის შედეგებით.

ავთანდილ ბერიძე

ეითი თვე მესხეთში

ვარძია

განცდის ნატეხი

პატარა ვიყავი... დედამ სალოცავად წამიყვანა წმ. ბარბარეს ეკლესიაში, ღმერთს ევედრებოდა, შვილი ყოველგვარ ავადმყოფობისგან გადამირჩინეო. ბუნდად მახსოვს, ეს წინად იყო, ბავშვობის გაზაფხულის ნათელ დღეებში. ხსოვნაში დამრჩა ნახევრად ჩამონგრეული ძველი საყდარი, სადაც უღრან ტყეში, ვეებერთელა მუხების გვერდით, რომელნიც ცას შეერთებულიყვნენ და მედიდურად აშრიალებდნენ მწვანე ფოთლებს, გარშემო თეთრი ძაფი ჰქონდა შემოვლებული ნანგრევებს, წინ კარების შესავალში ორი თუ სამი გატეხილი ქვევრი ეგდო. შიგ შევედით, დედამ ორი სანთელი დაანტო ხატის წინ, მუხლი მოიდრიკა და ლოცულობდა... მე გვერდით ვიდექ და გაშტერებით უცქეროდი, კედელზე გამოხატულ ორ თეთრწვერა მოხუცს, ხელში დიდი მაღალი ჯოხები ეჭირათ, თეთრი წვერი გულზე ეფინათ, მათი თვალები მკაცრად იცქირებოდნენ, ახლო მშველი და დათვი მოსდევდათ...სანთლები ოდნავ ბჟუტავდნენ და მკრთალ სინათლეს ჰფენდნენ ძველისძველ კედლებს, რაღაც ყრუ დუმილი იყო, მხოლოდ დედის ოდნავი ჩუმი ლოცვა არღვევდა იდუმალებას... ვუცქირე, ვუცქირე და პატარამ მოვჰყე მოდგინებით პირჯვრის წერას, ვბუტბუტებდი გაზეპირებულ ლოცვას და თვალს ვერ ვაშორებდი ორ მოხუცს, რაღაც გრძნობა ჰღვიოდა ჩემს გულში, სინანულისა თუ სიმდაბლისა, უზრუნველობისა თუ სიბავშვისა, არ ვიცი ვერც მაშინ მივხვდი, ვერც ეხლა გამომიცვნია... აღარ მახსოვს როგორ წამოვედით, მაგრამ ის ძველი ეკლესია არ დამვიწყებია, არ დამვიწყებია მარტოდ-მარტო ორი მოხუცი და სანთლის ოდნავი შუქი... ხშირად მომაგონდებოდა, ძალიან ხშირად და რაღაცა უცნობი გრძნობა გამიღვივდებოდა გულში, რაღაც გამოურკვეველი ფიქრი თავს მევლებოდა და მაგონდებოდა ჩემი პირჯვრის წერა, დედის ჩუმი მუხლ-მოდრეკილი ბუტბუტი, ძველი, ნახევრად ნგრეული ეკლესია, მოხუც, ას-წლოვან მუხებ შორის და მის გარშემო შემოვლებული თეთრი აფი... მომაგონდებოდა და რაღაც ჟრუანტელი დამოვლიდა...

იქ, შორს, სადღაც, ტყეში ცხოვრებიდან განმარტოებულ ადგილას იყო და არის ის ძველი საყდარი, ხალხი არ ივიწყებდა, მიდიოდა, ლოცულობდა, ევედრებოდა, რა იყო ამის მიზეზი, რა უფრო იზიდავდა ნუთუ სოფელში უფრო ადვილი არ იყო ლოცვა?.. ეს ფიქრი გამირბოდა, ეს გრძნობა აღმეძოდა და დავდუმდებოდი, დიდხანს ვფიქობდი.

მას შემდეგ შემიყვარდა ამგვარი საყდრები, შემიყვარდა მთელის ჩემის არსებით და მხოლოდ აქ განვიცდიდი სიცოცხლის საიდუმლოებას, მხოლოდ იქ მეფობდა სული და დანარჩენი ყოველივე ჩემში კვდებოდა, გრძნობა-გონება შორს მიგვაქანებდა, თავისუფლად დანავარდობდა და თვალნი კი მზერდნენ, მზერდნენ განუწყვეტლივ, რომელიმე კედელზე აღნიშნულ დიად გაფერმკრთალებულ წმინდანის სახეს...

პირველი ადგილი ვარძიას უჭირავსო, ის ყოველ ძველ ნაშთზე დიდებულია, შესანიშნავია, მსმენია ხშირად და ფიქრით და გრძნობით იქით გადავქანებულვარ, თვალწინ დამიხატია ჩემის ფიქრის ფერადებით და აღმძვრია სურვილი, სურვილი დაუდეგარი მისი ხილვისა...

დიდი ხნის ხეტიალის შემდეგ მესხეთის მთა-ხრიოკებში და ძველ ქართველების ჩამომავალთა შორის რჯულზე და ღმერთზე საუბრის შემდეგ, რომელს სასოებით და დინჯად იხსენიებს ყოველი მესხელი და ბეჯითად გულს პირჯვარს გამოისახავს, თან დაატანს, „აქ ყველაფერი თამარ დედოფლის მიერ არის ნაშენები, ჩვენ არა გვგვანდნენ ის ძველებიო“... გადაველ სოფ. აგარას, ამ უკანასკნელ ქრიატიან ქართველთა სოფელში მესხეთის მხარეს... მუსულმანებთან ერთად ცხოვრობენ, მათი ზნე-ჩვეულება მრავლად შეუთვისებიათ, ქართული ენა შეურყვნიათ, მაგრამ რწმენა კი წმინდათ შეუნახავთ, ღრმად აღუჭდიათ... ერთმა მოხუცმა მითხრა: „ამოსულხარ აქამდის და ისე ნუ წახვალ, ბრწყინვალე ვარძია არ ნახო, გწყალობდეს იმისი მადლიო“... ამ სიტყვებზე მომაგონდა წმ. ბარბარეს ეკლესია, თეთრწვერა მოხუცნი და იმ წუთსვე მომინდა ვარძიის ხილვა...

დილა იყო, ხალხს ვესაუბრე, გამოვემშვიდობე. გზა დამასწავლეს, დამილოცეს, დაატანეს ვარძიას ძირში გაუვლიო. წამოველ, ვიწრო ბილიკზე, მთის წვერიდან ხევში რომ ეშვებოდა და მიიკლაკნებოდა ფერდობზე. შორს გამოჩნდა ვარძიის კლდე. თეთრ ზოლად რომ ნაწილი მოსჩანდა, მხოლოდ იქ შეამჩნევდა კაცი რამდენიმე შავად მკრთოლავ გამოქვაბულს, რომლისკენაც ამავალი გზა არ ეტყობოდა და თითქოს მაღლიდან თოკით ჩამოშვებულან და ამ კლდეზე შავი ლაქანი საგანგებოდ მოუკრიათო. მიველ ახლო, ნათლად გამოიხატა რამდენიმე სვეტი იქ მაღლა, სვეტებშორის ხალხი მიდიოდ-მოდიოდა. ჭრელ ტანისამოსში გამოწყობილი ქალები იყვნენ, რომელთაც ჩალმიანი კაცები თან ახლდნენ, ძლივს ჩამოდიოდა მათი ჟივილ-ხივილი. გაიღო პატარა კარები და თითქოს ჯაჭვი ჩამოეკიდა მაღალ კლდიდანო, ისე ამწკრივდა წითელ-ყვითელი კაბები, მრავლად მოსულ ქალთა და ჭრელ-ჭრელი ჩალმები კაცებისა. ბევრი რამ მაგრძნობინა ამ მლოცველთა ხილვამ, წუთით გადამიტაცა ძველ სანატრელ დროს, ოდეს ვარძია ღვთიურ ბრწყინვალებით იყო მოსილი, ოდეს ერის რჩეულნი იქ ღმერთს ევედრებოდნენ სამშობლოს დიდებას და სიმშვიდეს. ნეტარი დრო იყო, საქართველოს შვილისთვის სამშობლოში თავისუფალი იყო, მტრის უღელს ვერ გრძნობდა თავის კისერზე, დიადი იყო და შეუპოვარი ვით აი ეს მტკვარი. ჩემ ფერხთა ქვეშ რომ ბურტყუნით და საყვედურით რო მიექანება ქვემოთკენ და მისი ჩქეფი ჭაღარით მოსავს შავად აყუდებულ სალ კლდეებს...

კარებს წინ ბერი დგას და იმზირება ჩემსკენ, ალბათ უკვირს ჩემ გვარი სტუმარი... კლდეებ შუა, ოდნავ ბილიკით მივდივარ მაღლა მაღლა, ჭრელი კაბანი ძირსაღა სჩანან, მტკვრის პირას და მის ტალღებში ქვებს ისვრიან, ეტყობათ გულლაღათ გრძნობენ თავს. ფიქრი ფიქრს მისდევს და გრძნობა, ახალი გრძნობა გულის ნელ ცემას... კურთხევა ვთხოვე მოხუც ჭაღარა ბერს, რომლის სახესაც დასტყობია ამ მთების საიდუმლოება და ღვთის წინაშე ლოცვისა დაღი... ფერმკრთალ მის სახეს ღიმი დაჰკრავს, ოდნავი შეუმჩნეველი ღიმი, ალბათ ჰგრძნობს სიამეს, თავის უპირატესობას. კარებში ვდგევარ, რკინით შეჭედილ კარებ წინ და ჩავცქერი ძირს ციცაბო კლდეს, რომელზედაც ოდნავ ეტყობა საცალფეხო ბილიკი... ამ ბილიკით მივდიოდი, ვინ იცის ძველადაც ასე იყო... მაგრამ არა მგონია, აგერ კლდის ძირში ვეებერთელა კლდე გდია, ნატეხი. გამოქვაბულია, ოთახის ნახევარი მასზე აღბეჭდილია კიბის საფეხურები... ასეთია ცხოვრება ერთფეროვნად არაფერს აყენებს, თავის მუსრავ ხელს ყოველივეს ახებს, ყოველივეს ანადგურებს... მოხუცი კლდე ვით ეს ქვეყანა, გაბრწყინებული ერთხელ დიდებით გადმომტვრეულა და ძირს გაქანებულა, მტკვრის ტალღებისკენ, რათა იქ სამუდამოთ მოჰღებოდეს ბოლო, რათა ამ სიკვდილის უკანასკნელ ბუტბუტში შეეჩივლოს მისთვის ქვეყნის უკულმართობა და ეამბნოს ძველის ძველი ბრწყინვალების ჭაღარა ლეგენდა... როდესაც, ეხლა უპატრონოდ და ოხრად გდებულს ნატეხს სხვა მნიშვნელობა ჰქონდა, როდესაც იგი მედიდურად გადმოჰყურებდა მაღლიდან მის მწვანე სანაპიროებს...

მოხუცმა სახლში შემიწვია, კარი გააღო და შეველ. მაღალი სვეტები, თლილი ქვისა, ვეებერთელა თაღი...

ძველის ძველ ფრესკებით შემკული... დიადი ხელოვნება.

„ეს ეკლესიის ეტოვაა. ესეც კლდეა გამოქვაბული... აგერ განკითხვის დღე, მეორე მოსვლის დროს, რა ბეჯითი ნამუშევარია, ანგელოზნი ყველას ცოდვებსა სწონიან და შემდეგ გამოაქვთ მსჯავრი, მაცხოვარი ყველას ლმობიერებით უყურებს“... ნელის ხმით ამბობს მოხუცი და აკანკალებულის ხელით მიჩვენებს ყოველივე ნაწილს. მართლაც, რა ცოცხალი სურათია, ღრმა, რა ლმობიერი გამომეტყველება აქვს მოხუცს, როდინდელი ნახატი კია, ძველი, ძველის ძველი.

„აგერ მაღლა, ცაზე, ანგელოზებს ბურთი უჭირავთ და მეორენი კი ცასა ჰკეცავენ. ალბათ ქვეყანას აბარებენ ოდეს განკითხვის დღე დადგება და შეინახავენ როგორც ნაშთს, სადაც მრავალი სიბოროტე იყო ჩადენილ კაცთაგან, სად მრავალი ცოდვა სუფევდა, შენ შეუნდე მაცხოვარო ყველას და შეიწყნარე...

„აგერ, ურემი, ხარები და ქალი და კაცი... სამხრეთისკენ ხელს ართმევენ და ჩრდილოეთში კაცსა სძინავს და ქალი ხელ-აღპყრობილი ლოცულობს, ეს ქალი და კაცი ზედათმოგველები არიან, ამ მთის მეორე მხარესაა ეს სოფელი, სპარსეთში ტყვედ წაუყვანიათ, სხვა და სხვა მხარეს დაებინავებინათ, სპარსელთა სარდლებთან. ერთხელ ქალი წყაროზე ჩამოვიდა და ინატრა ქრისტიანი შეხვედროდა ვინმე. მგზავრი ვინმე გამოჩნდა, წყაროსთან ჩამოჯდა და

გაგრძელება გვ 4

ლატენილ ჯაღალაგეღიღან

ეროი თვე მესხეთში

ДАСАЗГУІСІ ГЗ 1.

ცხვირს დააცემინა. ქრისტიანულ წესზე პირჯვარი გამოისახა და ქალს გაეხარდა, გამოელაპარაკა. გამოიკითხეს და და-ძმა აღმოჩნდნენ, ჰგავს ხელს ართმევენ, უხარიანთ, ერთმანეთი იცნეს, რათა ლაპარაკით გული ეჯერათ, ბატონისთვის წყალი აეტანა ქალს და ისევ ჩამოსულიყო. იქვე ურემი ყოფილა და ქალს ეთქვა, მოდი ურემზე ჩამოვსხდეთ, ვითომ ვარძიაში მივდივართო, ხომ იცი, ხვალ ვარძიობა არისო... დიდ ხანს ულაპარაკიათ და ჩასძინებიათ. ქალს სმენია ზარის რეკვა და გამოჰღვიძებია. რასა ჰხედავს იმის თვალები: ვარძია აჩაღებული და გაბრწყინებულია, დღეობაა, ხალხს სიხარულის შუქი სცემს სახეზე და აგერ მადლობის ნიშნად ხელაპყრობილი ლოცულობს და ვარძიის ცხოველ ხატს, შეგეწიოთ იმისი მადლი, მადლობასა სწირავს...

მიამბობს მოხუცი და მიმითითებს...

რა დუმილია ირგვლივ, ცხადლივ გრძნობ, თუ ვით ევედრება უფალს ზედათმოგველი ასული, და თუ ვით სწირავს მადლობას, სიხარულის ცრემლები უბრწყინავენ თვალებში... სამშობლო კვლავ ჰპოვა, ტყვეობიდან დაბრუნდა, კვალად თავისუფალია, ლაღი წუთია მის სიცოცხლისა, დიადი ნეტარებით აღსავსე... ბედნიერია, ბედნიერი რამეთუ კვალად ჰპოვა უძვირფასესი დაკარგული განძი...

გამოქვაბულებში დავყევარ მოხუც ბერს, რა მშვენიერი დარბაზებია, არც კირი, არც აგური, ჩაქუჩი და კლდე მთელი მასალა... რა მოთმინება, რა მედგარი და უდრეკი ენერგია ვინც ამ კლდეებს ჰკვეთდა და იმედი, იმედი, დიდი ამშვენებდა აქ მომუშავეთ... აგერ დარბაზი, ფართე, ნათელი, გარშემო ქვითვე ნაკვეთი ჩამოსახდომი, ჩრდილოეთით გადის კვლავ ორი კარები, იქაც ოთახები, მათ შუა კლდეში ხვრელი...“ აქ სამსჯავრო იყო მთავარი, თამარ დედოფალი აგერ იქ იჯდა და იქ ისმენდა საჩივარს ყოველივეს... იმ ოთახებში, ალბად, განაჩენი გამოჰქონდათ“... ნუთუ მართლა თამარის სავარძელია ის კლდე? აქ კი დიდებულები ისხდნენ, დარბაისელნი და ბჭობდნენ, ისმენდნენ საჩივარს და ასამართლებდნენ ხალხს, ასმენდნენ აქედან ქვეყანის დაცვას და მის გულისათვის სიმშვიდეს ქვეყანას, თამარს, პირდაპირ მას მოახსენებდა გულის ტკივილს საქართველოს მოქალაქე. მისი პირით ისმენდა სიმართლეს, რა ბედნიერი უნდა ყოფილიყო და კმაყოფილი... რა ერთგული ამის შემდეგ ქვეყნისა და თავის ერისა...

დღეს მხოლოდ ცარიელი, ნაცრისფერი კედლები ღა არიან. სდუმან, ჩუმად არიან და ამ დუმილით გადმოსცემენ მნახველთ ძველ დიდებას საქართველოისას, სიბრწყინვალეს და სიდიადეს... ეს კედლები მჭერმეტყველურად ამბობენ ყოველივეს, თუ რა ძლიერი იყო სულით და ხორცით ძველი ქართველი... სდუმხარ და მზერ ამ დიად ქმნილებას, რომელიც ქართველის ხელითაა შექმნილი... ჰმზერ და გული ზიზღით და ბოღმით გვევსება ოდეს ფერადებით ნაწერს სომეხთა გვარებსა ჰკითხულობ. ნეტავ რა სთქვეს მით, ხომ დაამახინჯეს თავის სახელებით... რა მახინჯნი და სულით მდაბალი უნდა იყვეს ის ადამიანი, ვინც ასე ჰბილწავს დიდების ნაშთებს. საზიზღარი და შესაჯავრი, ვინც პატივს არა სცემს სხვის კულტურას, სხვა ერის დიდებას, მას ხომ არც თავისი კულტურისა სწამს რამე, თავისასაც ხომ ასე მოექცევა?

ერთი გამოქვაბულიდან მეორეში გადადიხარ, ღამაზად გამოკვეთილ კიბეებს აჰყევხარ ერთ სართულიდან მეორეში და ცხადლივ ამჩნევ, რომელს რა დანიშნულება ჰქონია... არიან გვირაბნი გამოკვეთილნი წმინდა იარაღით, სუფთა ნამუშევარია, სავარძლებით, ტახტებით, თარო-განჯინებით, ხატების დასასვენებელი ადგილებით, შესასვლელ კარებებში ეტყობა ურდულის ადგილები და ჩარჩოებისა... ალბათ აქ რჩეულნი განისვენებდნენ, აქ ისინი ატარებდნენ ნეტარ დღეებს... სხვანი უფრო უხეშ და დიდ ჩაქუჩებით, რომელთა ნაკბილარები კარგა ეტყობა კედლებზე... ზოგ მათგანს შერჩენია შელესილი კედლები... მრავალი სართულები, მრავალი დიდი დარბაზები ყოველგვარ მოწყობილობით. მრავალი მათგანი მომსხვრეულა და წინა პირი ძირს გადავარდნილა, იმსხვრევა, იმტვრევა და ნელ-ნელა ჰქრება თითო დიდების ნაშთი... ნელ-ნელა დავინყების



ლეჩაქით იფერფლება და ვინ იცის შემდეგში სულაც მოსწყდეს მთელი ეს კლდე და მის ნამტვრევთა სანახავათ ღა დავდიოდეთ... სდუმხარ და უმზერ ამ ნამუშევარს და ვერა გითქვამს რა, თითქოს გეშინიან, რომ ხმაურობით არ დაარღვიო ეს სიდიადეო...

მიძინების საყდრის კარს აღებენ... მოწიწებით შედიხარ, ყოველივე მიწიერი შენში ჰკვდება აქ, მაღლა, „უფლის ახლო“... ვეებერთელა ტაძარი უქვითკირო, პიტალო კლდეში გამოკვეთილი... სახტადა რჩება ადამიანი, თავი სიზმარში ჰგონია, სადღაც ისეთ ქვეყანაში, სადაც მხოლოდ ისეთი შენობანი არიან, რომელნიც მხოლოდ ზღაპრებში თუ გსმენია... ურწმუნოც რომ იყვეს, მუხლს მოიდრეკს და სასოებით იწყებს ლოცვას, როდესაც საკურთხევლის ცაზე ვეებერთელა, უზარმაზარ ხატს შეჰნიშნავს, ხატს წმ. ღვთის მშობლისას ყრმა იესოთი ხელში, ნეტარი და ლმობიერი სახე, სახე გაბრწყინებული, იმედიანი, მარცხნივ, მარჯვნივ ქართველ ლამაზ ვაჟკაც სახისა მქონი მთავარ ანგელოზები მიქელ და გაბრიელი. უმზერ სურათს და ჰფიქრობ, კედელზეა მხოლოდ ნახატი თუ გაიხსნა ცა და შენს თვალ წინ ნათლადა სდგასო...

ჩრდილოეთის კედელს ამშვენებს ბურდუხან დედოფალი და გიორგი მეფე, თამარის მშობელნი, რომელნიც ღვთისმშობელს სასოებით ევედრებიან. მაღლავე ფერისცვალება იშვიათი მხატვრობაა. დასავლეთის კედელი იპყრობს დიდ ყურადღებას ძვირფას მხატვრობით დამშვენებული და შემკული... სამნი ყრმანი ნაბუქოდონოსორის მიერ ცეცხლში ჩაყრილნი... ყოველი სურათის მნიშვნელობას მიხსნის მოხუცი იპოლიტე, ერთიდან მეორეზე გადავდივართ, ყველას დიდი ხელოვნების დაღი ასვია, მაგრამ ჟამთა ვითარების გამო, სანთლის კვამლისაგან დასდებია მუქი, მოშაო ფერი და ეს უფრო დიად გამომეტყველებას აძლევს, თითქოს სევდა მოსილია და შავს ფიქრებს წაუღია, ჰფიქრობს ბრწყინვალე წარსულზე და მნახველსაც უზიარებს თავის მწარე ნაღველს და აფიქრებს, აფიქრებს წარსულზე და მომავალზე.

აი ეს სამხრეთი კედლის შესანიშნავი ხატია თამარ დედოფლისა, ახლო რომ დააკვირდეთ, გვირგვინი მეტის მეტი ძვირფასი თვლებით მორთული... დიდი სიმდიდრე იყო ძველად საქართველოში... აი წამობრძანდით, გაჩვენოთ მეფეების პალატა, საიდანაც ლოცვას ისმენენ და ხალხს არ ეჩვენებოდნენ ის სულ განათლებულები.

ჩრდილოეთის კედელში კარია და მასში გავდივართ, მხარ მარცხნივ მეორე კარია, გახვალ თუ არა და ეს ყოფილა ძვირფასად მორთული პალატა, საიდანაც მეფის ოჯახი ისმენდა ლოცვას. ტახტი ქვისაა, კვარცხლბეკია. შემოსავალი ამ სამლოცველო პალატისა, ზემოდან არის, რომლის კიბეს მეფეთა სადგომებში მიჰყავს...

დასავლეთით თერთმეტი სართული ნაკვეთია მეტად შესანიშნავი. ეკლესია მთლად სურათებითაა ნაფენი, რომელთა თვალები და სახე ბარბაროსთა ხელით და სომეხთა გვარებით შერყვნილია და გავერანებული...

საყდრის გარშემო გამოკვეთილია კლდე, რათა აღდგომა ღამეს შესაძლებელი ყოფილიყო გარს შემოვლა...

უკვე მზე მთას იქით გადასვენებულიყო და ჩრდილოეთიდან საღამოს ბინდი აწვებოდა, როდესაც საცალფეხო ბილიკებით მე და იპოლიტე მღვდელი სენაკისკენ ვბრუნდებოდით. ჩემი ფიქრი და გრძნობა ამ სიძლერეს სულისას შეეპყრო, რომელმაც ეს კლდენი გამოჰქვაბა და საამურს სადგომებად გადააქცია, დასტოვა კვალი წაუშლელი და აღუხოცელი დიადი შემოქმედებისა...

ქვაზე ვზივარ და გადავცქერი ძირს დარჩენილ სერებს, სული დამშვიდებულია, ფიქრი მწყობრად მომდის... მტკვრის გულჩახვეული დუდუნი მშობელ დედის ნანად მეწვეთება ყურში, ბინდი საღამოსი ნელ-ნელა შავადა ჰფარავს მიდამოს, სერებს და გორაკებს...

„აი იმ მთის კალთაზე სულ ვენახები ყოფილა გაშენებული, ვაზის ძირები ეხლაც არის დარჩენილი, 10 საწნახელი გვაქვს, სულ იმგვარი, კლდიდან გამოჭრილი წეღან რომ ვნახეთ, ქვევრებით და მთელი მოწყობილობით... ზედა ვარძიამდე ყოფილა ვენახები, იქიდანვე გამოდიოდა კლდეში წყლის მილი, აქ ამბობენ, იმ მილით თამარ დედოფალი რძეს ადინებდა, ღმერთმა გააბრწყინოს იმისი სული და დაუმკვიდროს ნეატრი სახელი, მთელი საქართველო იმისი სახელით არის დამშვენებული“...

მიამბობს წყნარის ტკბილი ხმით იპოლიტე ბერი ყოველივე წვრიმალს ლეგენდებითა და ზღაპრებით დამშვენებულს. რა ტკბილია და კარგი ეს ლეგენდები, ამ მონასტრებში გაგონილ ნასმენს, რა სიამაყეს და სიამოვნებას განიცდის ყოველი ადამიანი მის გაგონებაზე და მოსმენაზე...

იქ, თამარ დედოფლის ცრემლი სდის შიგნით, გამოქვაბულში, რომ ჟონავს, ამბობენ თამარ დედოფალი აქ მარხია და ეს იმის ცრემლია დაქცეულ და აოხრებულ სამშობლოს დასტირისო და მარტო მაშინ შეშრება, როდესაც იგი კვლავ განახლდებაო...

ღმერთო, შენის მადლით წრეულს უფრო იშვიათად და ნაკლებადა სდის კედელს ცრემლი....

გულს სიხარული ავსებს და სიამე... ხალხის შექმნილი ლეგენდა ცხოვრების ცის ტატნობზე ფრთებს ისხავს და სახიერდება.

ბინდი სცემს ხშირი არემარეს, ცაზე ვარსკვლავნი ენთებიან და ციალობენ, ირგვლივ საშინელი გამოურკვეველი დუმილი მეფობს, მხოლოდ მტკვრის ჩხრიალი და ხუილი არღვევს ამ დუმილს... სადღაც მაღლა, ღრუბელთა შორის ჰგონია კაცს თავი ოდეს ძირიდან წყლის ჩხრიალი ისმის... მარტო ვარ, ბერი იპოლიტე სენაკში წავიდა საღამოს ლოცვისათვის.

ღმერთო შენითა მადლითა, აღსრულდეს თქმულება ხალხისა და წელს მაინც შეაშრეს ვარძიის ძეგლის ძველს კედლებს თამარის ცრემლი, რომელიც აოხრებულ თავის სამშობლოს ზედ აფრქვევს.

ნ.კეცხოველი,

გაზეთი „საქართველო“, 1915 წელი, N268

სპორტი

ჩემპიონატში მიიღებენ მონაწილეობას

საქართველოს ფეინთბოლის ეროვნული ფედერაციის ინიციატივითა და ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის დაფინანსებით, ასპინძაში ფეინთბოლში ჩემპიონატი ჩატარდა.

ჩემპიონატში 11 გუნდი და 55-მდე ახალგაზრდა მონაწილეობდა.

შეჯიბრში „ციყვების“ გუნდმა გაიმარჯვა, რომელიც საქართველოს ჩემპიონატში მიიღებს მონაწილეობას.

ფეინთბოლის ჩემპიონატი ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვის, ახალგაზრდულ საქმეთა და ტურიზმის განვითარების სამსახურის ორგანიზებით გაიმართა და მისი მიზანი ექსტრემალურ სპორტში ახალგაზრდების ჩართვაა.

„ლექსო, არ დაიკარგებე!“

„რა არის ჩვენი სიცოცხლე“

რა არის ჩვენი სიცოცხლე,
წუთიერ-წამიერიო,
ქვეყანას, ამ ცა-მიწასა
ვაზივართ როგორც
მტვერიო.

დღესა ვართ, ხვალ არ
ვიქნებით,
ყველას მოგვივა ჯერიო,
დაგვმიწავს-დაგვასამარებს
სიკვდილი საძაგელიო.

ოხრად დაგვრჩება ყოველი, _
ყველა და ყველაფერიო,
მომგონიც არ გვეყოლება
არც მოყვარე და მტერიო.

ისე ჩაგვრეცხავს დრო-ჟამი,
საუკუნე და წლებიო,
ნასახიც აღარ დარჩება
საფლავებისა ჩვენიო.

ჩვენც წავალთ, სულ სხვა თაობა
მოევლინება მთა-ბარსა,
და ისიც ჩვენებრ-ჩვენსავით
აჰყვება ქვეყნის ავ-კარგსა.

ვიდრე დავდივართ ამქვეყნად
ვიცხოვროთ ღმერთის
მცნებითა,
გარდაუვალსა სიკვდილსა
მაინც ვერ გავექცევითა.

დიდს თუ პატარას სუყველას
ოდესღაც დაგვამიწებსა,
უკვდავმყოფლობას ხომ
ვიცით,
არავინ არ გვაღირსებსა.

რაიც რომ გარდამავალია,
მასზე აღარ ღირს დარდები,
ომახიანად ვიცხოვროთ,
ეკალს ვარჩიოთ ვარდები!

ავტორ მთქმელი
გურამ
ქუნცელი-ივანიძე

ინფორმაციები მოგვაწოდა ასპინძის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საორგანიზაციო განყოფილების უფროსმა ეკა კალაიჯიშვილმა

რედკოლეგია